



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის №164/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

ქრისტინე მაისურაძე (სტუდენტი)

1. ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის პირველი კომუნიკაცია შედგა ტელეფონის მეშვეობით, მოსარჩელემ აუხსნა ადვოკატს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ადვოკატმა მოსარჩელეს განუმარტა დავის შესაძლო განვითარების რამდენიმე გზა და მოგვიანებით ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუგზავნა შეტყობინება, სადაც მითითებული იყო სამართლებრივი ნაბიჯები და შესაბამისი საადვოკატო ხარჯები. ამის შემდეგ მათ შორის რამდენიმეჯერ შედგა როგორც სატელეფონო, ისე პირადი კომუნიკაცია. მოგვიანებით, ადვოკატი წარმომადგენლად ჩაერთო საქმეში საჩივრის ავტორის მოდავე კომპანიის სასარგებლოდ.

2. პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი, რომელშიც ითხოვდა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების შესაძლო დარღვევის თაობაზე.

3. სამართლებრივი შეფასება

ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე იმისა, რომ კლიენტის წარმომადგენლობაზე არსებით და საწინააღმდეგო გავლენას იქონიებს ადვოკატის პირადი ინტერესები ან მოვალეობები სხვა არსებულ კლიენტთა, ყოფილ კლიენტთა ან მესამე პირთა მიმართ. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება ადვოკატს ავალებს იზრუნოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხის შემოწმებაზე ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისგან ინფორმაციის მიღებამდე, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფუძველი ხდება ინფორმაცია, რომლის მატარებელიც ადვოკატია. თუ ადვოკატი იღებს პოტენციური კლიენტისგან ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია გამოიყენოს მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ და სხვა მისი კლიენტის სასარგებლოდ, ადვოკატი იმყოფება ინტერესთა კონფლიქტის ქვეშ. შესაბამისად, შესაძლებელია სახეზე არ იყოს კლასიკური ადვოკატკლიენტის ურთიერთობა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურებაზე და მათ შორის არ არსებობდეს ხელშეკრულება, თუმცა პოტენციური კლიენტის საქმეზე ინფორმაციის მიღებით ადვოკატს უკვე წარმოეშობა ეთიკური ვალდებულებები, კერძოდ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის თავიდან აცილების ვალდებულება. ადვოკატი ვალდებულია არ გახადოს კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის, კანონით პირდაპირ დადგენილი გამონაკლისების გარდა, რაც არ არის შეზღუდული დროში.

ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაცია არ ნიშნავს აპრიორი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოქმნას, რადგანაც, ამ დროს მნიშვნელოვანია საუბრის თემა და ის

¹ <https://www.gba.ge/pdf/5ce2983dd77fb.pdf/164-18%2018.02.19%20ar%20aRZvra.pdf>

ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს ამ საუბრისას. მოცემულ შემთხვევაში, კი არ დასტურდება, რომ ადვოკატმა მიიღო რაიმე ისეთი სახის ინფორმაცია საჩივრის ავტორისგან, რომლის გამოყენებასაც მის საწინააღმდეგოდ შეძლებდა.

4. დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, რითაც იარსებებდა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარისათვის საადვოკატო მომსახურების განხორციელებით, საფრთხე შეუქმნა საჩივრის ავტორის ინტერესებს. გამომდინარე აქედან, ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინალური დევნა, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველის არ არსებობის გამო.